ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-12/15098734-16

"11." 05. 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ. კოდი №01.72.14.012.730) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1345115 23.06.14წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„გ-ა“ ფასადი: ფასადზე მინაბლოკის ღიობების ნაცვლად მოწყობილია ფრამუგები, ასევე „ბ-ა“ მონაკვეთში დამატებულია სავენტილაციო მილი. „3-3“ ღერძის გარეთ სახურავი გადმოსულია კედლის სიბრტყიდან.

„3-1“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე ხის დეკორატიული პანელებით მოპირკეთებული კედელი შემცირებულია სიგრძეში 0.6 მ-ით, ასევე შემცირებულია გადახურვის სიგრძეც. ფასადზე დამატებულია საკომუნიკაციო მილი და ორი სავენტილაციო ღიობი.

ეზოში დამატებით მოწყობილია სანათები.

ღობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "პროფილბილდინგი"-ს, ლამზირა კოროშინაძეს ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ. კოდი №01.72.14.012.730) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტს (ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/15098734-16 08.04.15წ. განცხადება.
№წ-12/15098734 27.04.15წ. ბრძანება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ჯაყელი

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396